პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 61 (9837) | შაბათი, 13 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ქართველი პროლეტარები

შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1954 წლის 12 მარტს

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ მოგახსენოთ თქვენ და თქვენი სახით ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ჩემი გულითადი მადლობა იმ დიდი პატივისა და ნდობისათვის, რაც თქვენ გამიწიეთ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რომ დამასახელეთ. **(ხანგრძლივი ტაში).** პირობას გაძლევთ, რომ კვლავაც პატიოსნად და ერთგულად ვემსახურები ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის საქმეს, ჩვენს დიდ ხალხს, მთელ ჩემს ძალღონეს მოვახმარ სოციალისტურ სამშობლოს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მოვლენაა. საბჭოთა ხალხი, როგორც თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, ემზადება რა ძმამავალი არჩევნებისათვის, თვალს ავლებს იმ ოთხ წელიწადში განვლილ გზას, რაც უმაღლესი საბჭოს წინანდელ არჩევნებს გვაშორებს.

საბჭოთა ეკონომიკა მტკიცედ მიდის წინ განუწყვეტელი აღმავლობის გზით. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1949 წლიდან 1953 წლამდე განვლილ პერიოდში გადიდდა 62 პროცენტით და 1953 წელს ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ამ წლებში ჩვენმა მრეწველობამ სწრაფი ნახტომი გააკეთა თავის განვითარებაში; აშენდა 2.500 სამრეწველო საწარმო; მრეწველობის ძირითადი ფონდები გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად; მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 1,8-ჯერ. ეს წარმატებანი რომ შევაფასოთ, საკმარისია ითქვას, რომ მარტო სამრეწველო პროდუქციის მატება ამ წლებში მნიშვნელოვნად სჭარბობს თავისი ოდენობით მთელ პროდუქციას, რომელიც მრეწველობამ 1940 წელს გამოუშვა. **(ტაში).**

მრავალი წლის განძილზე ჩვენი პარტია ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის შედეგები საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენს ქვეყანას ახლა აქვს მძლავრი მძიმე ინდუსტრია, რომელსაც ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად განვავითარებთ, როგორც საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ ზრდასა და განვითარებას, როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საიმედო ბურჯს. **(ტაში).**

მაგრამ ახლა, სარგებლობს რა ინდუსტრიალიზაციის ნაყოფითა და შედეგებით, ჩვენმა პარტიამ დასახა ამოცანა ორ-სამ წელიწადში მივაღწიოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ აღმავლობას.

რაც შეეხება მსუბუქ მრეწველობას, ჩვენ ამჟამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ზოგიერთ პირველ შედეგზე. მაგალითად, 1953 წლის მეორე ნახევარში მიღებულ ღონისძიებათა შედეგად სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება გადიდდა 30 მილიარდ მანეთზე მეტით წლის პირველ ნახევართან შედარებით. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების იმ მოცულობას, რომელიც გათვალისწინებულია მეხუთე ხუთწლიანი გეგმით 1955 წლისათვის. ეს ნიშნავს, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დარგში მეხუთე ხუთწლედი შესრულებულ იქნება ოთხ წელიწადში. **(მქუხარე ტაში).**

სავსებით ცხადია, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომ სწრაფ განვითარებას. ცნობილია, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულია და ხორციელდება გაშლილი პროგრამა ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების თავმინებებულობისა და ჩამორჩენის ლიკვიდაცია. მიღებულია მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების და მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდების, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამჟამედებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური წახალისების სერიოზული ღონისძიებანი.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში ხალხისათვის კვების ყველა პროდუქტის და მსუბუქი მრეწველობისათვის ყველა სახის ნედლეულის საკმაო რაოდენობით წარმოების, ხოლო შემდეგ სიუხვის შექმნის ამოცანა საერთო-სახალხო საქმეა. ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია, ჩვენი მრეწველობა და ტრანსპორტი, ყველა საწარმო და სამეცნიერო დაწესებულება უნდა იჩენდეს ყოველდღიურ საქმიან მზრუნველობას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აყვავებისათვის, ეხმარებოდეს კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათს ბრძოლაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებისათვის. ეჭვი არ არის, რომ საყოველთაო ყურადღებით და ზრუნვით გარემოსილი ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩვენი კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ოირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას ჩვენი ქვეყნის წინაშე. **(ტაში).**

ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის, ნაციონალური შემოსავლის ზრდის საფუძველზე მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საქმეში. განვლილ ოთხ წელიწადში გაიზარდა მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი, გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი. მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავლისა და კოლმეურნეთა შემოსავლის საერთო თანხა, სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით, 4 წელიწადში 60 პროცენტით გაიზარდა.

ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ მოითხოვა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა. 1954 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მეშვეობით მოსახლეობას მიეყიდება ერთიორად და უფრო მეტი საქონელი, ვიდრე 1940 წელს. საქონელბრუნვის მხრივაც, ისევე როგორც სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მხრივ, მეხუთე ხუთწლედი ოთხ წელიწადში შესრულდება. **(მქუხარე ტაში).**

დიდდება ასიგნობანი სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის. უკანასკნელ წლებში ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა, მაგრამ ბინების საჭიროება დღემდე ჯერ კიდევ ძალიან დიდია. ჩვენ გავაძლიერებთ საავადმყოფოების, სკოლების მშენებლობას, ყოველი ღონისძიებით გავაფართოებთ საბინაო მშენებლობას.

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ მოპოვებული წარმატებებით და მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ქვეყანა მიაღწევს ეკონომიკის ახალ, კიდევ უფრო მძლავრ აღმავლობას. **(ტაში).**

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში კიდევ ბევრია ნაკლი, ზოგჯერ კი ჩამორჩენილობა და უყურადღებობა, რაც ხელს უშლის წინსვლას. ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია დამოკიდებულია თვითონ ჩვენზე, ხელმძღვანელებზე, საბჭოთა ადამიანებზე. ჩვენ ვამჟღავნებდით და კვლავაც გამოვამჟღავნებთ ამ ნაკლოვანებებს, არ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ჩვენი თვითკრიტიკით რამდენიმე ხნით სიხარულს ვგვრით ავისმდომლებსა და მტრებს საზღვარგარეთ. ჩვენ მტკიცედ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ უსწრაფესად დავძლიოთ ჩამორჩენილობა და თავმინებებულობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა იმ უბანზე, სადაც ამას ვხვდებით.

საქმე ის არის, რომ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით, ჩამორჩენილობისა და თავმინებებულობის დაძლევით უზრუნველვყოთ სოციალისტური წარმოების, როგორც ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საფუძვლის, განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა.

ყველა ჩვენგანმა, საბჭოთა ადამიანებმა, მთელმა ჩვენმა ხალხმა კარგად უნდა შევიგნოთ, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ყოველმხრივი განვითარების მთავარი, გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება ყველა დარგში—მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ თუ სერიოზულად და განუწყვეტლივ არ გავადიდეთ შრომის ნაყოფიერება, ისე წარმატებით ვერ მივაღწევთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან და სწრაფ გაუმჯობესებას.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შემქმნელმა დიდმა ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე წამოაყენა ფუძემდებელი მითითება იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება შეადგენს ახალი საზოგადოების ძირითად ამოცანას, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია კომუნიზმზე გადასვლა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდება. თუ ავიღებთ დროის ხანგრძლივ მონაკვეთს, ვთქვათ, უკანასკნელ 25 წელიწადს, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში დაახლოებით 6-ჯერ გადიდდა, მშენებლობასა და რკინიგზის ტრანსპორტზე — 3-ნახევარჯერ. შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაახლოებით 3-ჯერ აღემატება შრომის ნაყოფიერებას რევოლუციამდელ სოფლის მეურნეობაში.

ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული წარმატებებია, თუ მათ განვიხილავთ წარსულის შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით. სხვანაირია საქმის ვითარება, თუ დავაკვირდებით არა წარსულს, არამედ მომავალს და გადავწყვეტთ ჩვენი ხალხის მზარდ მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების ამოცანას, გადავწყვეტთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან წარმატებითი ეკონომიური შეჯიბრების ამოცანას. თუ ასე მივუდგებით საქმეს, უნდა ვაღიაროთ, რომ შრომის ნაყოფიერების ახლანდელი დონე საკმარისი არ არის.

ჩვენ მოვალენი ვართ მივაღწიოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან აღმავლობას. ჩვენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გვაქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა, რომელიც ყოველი ღონისძიებით უნდა გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ, უფრო ფართოდ მოვახდინოთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია, მათ შორის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაც. ეს არის შრომის ნაყოფიერების აღმავლობის, მუშათა და კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქების საშუალება. ჩვენს სახალხო მეურნეობას ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაეუფლნენ რთულ ტექნიკას; საჭიროა კვლავაც დაუცხრომლად ვიზრუნოთ ამ კადრების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, ვზარდოთ ახალი კადრები, განუწყვეტლივ განვამტკიცოთ მშრომელთა დისციპლინა და თვითდისციპლინა ჩვენი მშენებლობის ყველა უბანზე.

შრომის ნაყოფიერების სწრაფი აღმავლობის საქმეში ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ დარგში ჩვენ მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. შრომის ორგანიზაციის პრობლემას კი, ესე იგი როგორც საწარმოთა შიგნით, ისე მთელი სახელმწიფოს მასშტაბითაც საზოგადოებრივი შრომის გეგმაზომიერი და ყველაზე მიზანშეწონილი გამოყენების პრობლემას მით უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება, რაც უფრო წინ წავალთ ჩვენი ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და საწარმოო ძალების ზრდის გზით.

გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ზრუნვა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის ნამდვილად გახდეს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ხელმძღვანელობის დარგში მთელი პრაქტიკული მუშაობის ცენტრი. საჭიროა გავაჩაღოთ ნამდვილად ფართო სახალხო მოძრაობა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი აღმავლობისათვის, შრომის დიდი ნაყოფიერების მიღწევისათვის თვითეულ სამრეწველო საწარმოში, თვითეულ მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ჩვენი დიადი მშენებლობის ყველა ფრონტზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის საკითხს. ადარ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ბევრი ჩვენი ფაბრიკა და ქარხანა ჯერ კიდევ უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ ეს სირცხვილი, აღვკვეთოთ არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. მრეწველობა ჩვენი ხალხისათვის უნდა უშვებდეს კეთილხარისხოვან და ლამაზ საქონელს. რაც შეეხება საგარეო ბაზარს, საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ მარკა „გაკეთებულია სსრ კავშირში“ საქონლის საუკეთესო ხარისხის სრული გარანტია იყოს. **(ტაში).**

ჩვენი სამშობლოს შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა მეცნიერებამ. საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი მეცნიერებით და მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს უსურვებს წარმატებებს შემდგომ გაბედულ შემოქმედებითს შეძართებაში, ახალ მეცხიერულ აღმოჩენებში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ცხოვრება ახალ მაღალ მოთხოვნებს უყენებს მთელ ჩვენს სახელმწიფო აპარატს. ამ აპარატის მუშაობაში კი დღემდე არის ბიუროკრატული დამახინჯებანი, რომელთა წინააღმდეგ ჩვენი პარტია მტკიცე ბრძოლას ეწევა. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი მოვალეა სრულყოფდეს თავისი მუშაობის მეთოდებს მშრომელებთან ყოველდღიური ურთიერთობის საფუძველზე, ყურადღებით ეპყრობოდეს მათს მოთხოვნილებებს, ზრუნავდეს მშრომელთა საჭიროებებისათვის, ზუსტად იცავდეს საბჭოთა კანონიერებას, არ დაუშვას ძალაუფლების არავითარი ბოროტად გამოყენება საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირი ახალი აღმავლობის გზით მიდის. მტკიცე და ურყევია საბჭოთა წყობილების გრანდიოზული საფუძველი — მეშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, მტკიცე და ურღვევია ხალხთა მეგობრობა, რომელიც აგებულია სრულ თანასწორუფლებიანობაზე, ურთიერთპატივისცემასა და ძმურ თანამშრომლობაზე. ამაშია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება და ძალა. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი გეზი მუდამ ის არის, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობიანი პირობები ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, დავიცვათ მშვიდობის საქმე აგრესიული წრეების ხელყოფისაგან. ეს გეზი შეეფერება როგორც საბჭოთა ხალხის, ისე მთელი კაცობრიობის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

თავისთავად იგულისხმება, რომ სანამ მსოფლიოში არსებობენ აგრესიული წრეები, რომლებიც ჯერ კიდევ უიმედოდ ოცნებობენ დაღუპონ ჩვენი სოციალისტური წყობილება, საბჭოთა კავშირი მოვალეა ისეთ მდგომარეობაში იყოლიოს თავისი შეიარაღებული ძალები, რომ მათ შეეძლოთ აღკვეთონ აგრესორთა შესაძლო ავანტიურები. **(მქუხარე ტაში).**

უკანასკნელი წლების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეს საკუთარ ხელში იღებს მილიონობით ადამიანი. ჩვენი დროისათვის დამახასიათებელია ის, რომ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, სხვადასხვა პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა ადამიანები ერთიანდებიან მშვიდობისა და ეროვნული უშიშროების დაცვის ბაზაზე.

აიღეთ ევროპა. ამ უკანასკნელ ხანს აგრესიული წრეები სულ უფრო აშკარად ახორციელებენ ეროვნული ძალების გათიშვის პოლიტიკას ევროპის სახელმწიფოებში, ევროპის გათიშვის, ევროპის სახელმწიფოთა ერთი ნაწილის მეორე ნაწილისათვის წასისიანების პოლიტიკას. მაგრამ ამ გეზს უპირისპირდება ევროპის ხალხთა მზარდი სოლიდარობა დამღუპველი პოლიტიკის — გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მშვიდობისა და პროგრესის დაცვის საქმეში. სულ უფრო მტკიცე ხდება საფრანგეთის პატრიოტთა გადაწყვეტილება დაიცვან თავიანთი სამშობლო დიდი ფრანგი ერის მოსისხლე მტრის — გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების მოსალოდნელი საფრთხისაგან. იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში სულ უფრო მტკიცდება ხალხთა მისწრაფება — შეინარჩუნონ მშვიდობა და დაიცვან თავიანთი ქვეყნები იმ საფრთხისაგან, რომ ისინი რევანშისტული გერმანიის სამხედრო ხროვის საშუალებით ჩაბმულ იქნან ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში.

დღეს მშვიდობის ძალების მძლავრი ზრდის ნიშნით ცხოვრობენ აზიის ხალხები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გადააქციონ აზია ომების ქრონიკული კერიდან საერთაშორისო მშვიდობის საიმედო ციხე-სიმაგრედ. ამ მტკიცე გადაწყვეტილებას უწინარეს ყოვლისა განასახიერებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. **(მქუხარე ტაში).** საბჭოთა ადამიანები დიდ სიხარულს განიცდიან იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად სახელოვანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დგას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში. **(ტაში).** მშვიდობის განმტკიცებაში ძვირფასი წვლილი შეაქვს დიდ ინდოელ ხალხს. შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ იმ სიფხიზლეს, რომელსაც ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწეები იჩენენ იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის აგრესიული წრეები აძლიერებენ თავიანთ ხრიკებს აზიაში. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ამერიკელ დიპლომატთა იმ განცხადების პასუხად, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ იბატონონ აზიაში განუსაზღვრელი დროის განძილზე, ამას წინათ თქვა, რომ „აზიის ქვეყნები და, რა თქმა უნდა, ინდოეთი არ ეთანხმებიან ამ პოლიტიკას და არავითარი მიზნით არ აპირებენ იმყოფებოდნენ რომელიმე სახელმწიფოს ბატონობაში“. ეს სიტყვები გამოხატავენ ღრმა აზრით აღსავსე ჭეშმარიტებას: ახლა XIX საუკუნე კი არ არის, არამედ XX საუკუნის მეორე ნახევარია; და აზიის ხალხები იმისათვის კი არ დაადგნენ ეროვნული თავისუფლებისა და პროგრესის გზას, რომ ვინმეს დაანებონ უკან დაბრუნოს ისინი. **(ხანგრძლივი ტაში).**

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ 1953 წელი აღინიშნა საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელებით. მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ მიაღწია კორეაში ომის შეწყვეტას.

ყოველი მოაზროვნე ადამიანი არ შეიძლება არ დაუფიქრდეს ახლა იმას, თუ როგორ უზრუნველყოს შემდგომი ნაბიჯის წინ გადადგმა, როგორ გამონახოს რეალური საფუძველი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მყარი განმტკიცებისათვის. მართალი არ არის, რომ კაცობრიობას რჩება არჩევანი მხოლოდ ორ შესაძლებლობას შორის: ან ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა, ანდა ეგრეთწოდებული ცივი ომი. ხალხები სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის მყარი განმტკიცებით. საბჭოთა მთავრობა ემხრობა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, მტკიცედ და ხანგრძლივ მშვიდობას, მტკიცედ იბრძვის ცივი ომის პოლიტიკის წინააღმდეგ, რადგან ეს პოლიტიკა ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის მომზადების პოლიტიკაა, ხოცვა-ჟლეტისა, რომელიც ომის თანამედროვე საშუალებათა პირობებში მსოფლიო ცივილიზაციის დაღუპვას ნიშნავს.

ცნობილია, რომ, ეწვევიან რა ცივ ომს, მშვიდობის მტრები მომართავენ ყოველგვარ სიყალბესა და ჭორს საბჭოთა კავშირის შესახებ, მისი საგარეო პოლიტიკის შესახებ და მთავარ საშუალებად იყენებენ მათ მიერ შექმნილ მითს, რომ სსრ კავშირს თითქოს აგრესიული მისწრაფებები ჰქონდეს. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულმა საგარეო პოლიტიკამ ძირი გამოუთხარა ამ ყალბ ლეგენდას, და აქ გამართლდა ძველი რუსული ანდაზა: „სიცრუე დღემოკლეა. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. **(ტაში).**

ჩვენი პოზიცია ნათელია. ჩვენ ვემხრობით საბჭოთა კავშირის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც.

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იცავს იმ პოზიციას, რომ ყოველი სადავო საკითხი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში, რაც უნდა ძნელი იყოს იგი, მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას. **(ტაში).** საბჭოთა მთავრობა კეთილმოსურნედ ეკიდება საერთაშორისო თათბირებს, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, სარგებლობენ რა თანასწორი უფლებებით, კეთილსინდისიერად იმუშავებდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის, ეძიებდნენ და გამონახავდნენ სადავო საკითხების გადაჭრის მშვიდობიან გზას. ამ გეზის შესაბამისად საბჭოთა კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ოთხი სახელმწიფოს ბერლინის თათბირში და წამოაყენა, როგორც იცით, წინადადებანი, რომელთა მიზანია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების ქმედითი გადაჭრა. ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ დიდ სახელმწიფოთა ჟენევის მომავალ თათბირს სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობით, რომელზეც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თანასწორუფლებიანი მონაწილე იქნება **(მქუხარე ტაში).**

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების გზაზე მთავარი დაბრკოლება ის არის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების გადაჭრას უდგებიან როგორც კარჩაკეტილი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს აგრესიულ სამხედრო-სტრატეგიულ მოსაზრებებს.

მარტო ამით შეიძლება აიხსნას ის დამოკიდებულება, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა გამოიჩინეს იმ წინადადებისადმი, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოები, როგორც ცნობილია, ასეთ ხელშეკრულებას უპირისპირებენ ექვსი სახელმწიფოს სამხედრო ბლოკის შექმნას, რომელშიც მთავარი ძალა ექნებათ და მთავარ როლს შეასრულებენ დასავლეთგერმანელი მილიტარისტები.

ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს „მცირე ევროპის“ შექმნით გერმანია შეუერთდება ევროპას და დამშვიდდება. ეს მთლად სიყალბეა. განა ნათელი არ არის, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შედეგად გერმანიის მილიტარიზმი დასავლეთში დაიპყრობდა იმას, რისი მიღწევაც მან ომის საშუალებით ვერ შეძლო. საბჭოთა კავშირი გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ „მცირე ევროპის“ სახით შეიქმნას დიდი აგრესიული გერმანია. **(ტაში).**

შეიძლება არ დავეჭვდეთ, რომ თუ ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფისადმი ნამდვილი მისწრაფება იქნება, შესაძლებელი გახდება გადაილახოს დაბრკოლებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადების გზაზე, გულმოდგინედ განხილულ იქნას ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი წინადადებანი.

საბჭოთა მთავრობა დგას იმ პოზიციაზე, რომ გაფართოოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა ორივე მხარის სარგებლობის საფუძველზე. შეიძლება კმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ ლონდონში იწყებენ იმის აღიარებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას. **(ტაში).**

ყოველი საბჭოთა ადამიანის სიამაყის კანონიერ გრძნობას იწვევს იმ დიდი მეგობრობის სულ უფრო განმტკიცება, რომელიც ჩვენს სამშობლოს აკავშირებს სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან. ეს ძმური მეგობრობა არა მარტო დემოკრატიული ბანაკის ძალის წყაროა, არამედ საერთაშორისო მშვიდობის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენიც არის **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გენიალური ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტურია პარტია დაუცხრომლად იბრძვის ჩვენი ხალხის უკეთესი ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის. ჩვენი პარტია საბჭოთა ხალხთან დაკავშირებულია ურღვევი კავშირით. ხალხი ენდობა თავის მშობლიურ პარტიას და სულ უფრო მჭიდროდ ირაზმება მის გარშემო. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენმა პარტიამ აშკარად გამოთქვა თავისი შეხედულებანი ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის კოლექტიურობა ხელმძღვანელობაში, და დარწმუნებულია, რომ მისმა განცხადებებმა მხარდაჭერა ჰპოვა საბჭოთა ხალხში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** უდავოა, რომ კოლექტიურობა პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი ხელმძღვანელობაში იმის აუცილებელი გარანტიაა, რომ სწორად და წარმატებით გადავწყვიტოთ ჩვენს წინაშე მდგომი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანები, სწორად და წარმატებით გადავწყვიტოთ ძირეული საკითხები, რომლებიც საბჭოთა ხალხის ბედს ეხება.

ხალხის ნდობა და მხარდაჭერა საშუალებას აძლევს ჩვენს პარტიას გაბედულად და მტკიცედ გამოააშკაროს

(დასასრული მე-2 გვერდზე).

შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვის დასასრული

შეცდომები და ნაკლოვანებანი ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. ჩვენი პარტია მიჩვეულია იმას, რომ ხალხთან ერთად გაიზიაროს მწუხარება და სიხარული, გამარჯვება და დამარცხება, წარმატება და წარუმატებლობა. **(მქუხარე ტაში).**

ოცდათექვსმეტი წელიწადი დიდი ვადა არ არის ახალი სოციალური წყობილებისათვის. ჩვენმა პარტიამ და ხალხმა ბევრი გააკეთეს ამ წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის. საბჭოთა ადამიანებს ყველა საფუძველი მოეპოვებათ იამაყონ ახალი წყობილების წარმატებებითა და გამარჯვებებით, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გარეშე აგრესიული ძალები თავს გვახვევდნენ გამაჩანაგებელ ომებს, გვიქმნიდნენ სხვა დაბრკოლებებს, ხელს გვიშლიდნენ და გვიშლიან იმაში, რომ მთლიანად გამოვიყენოთ სოციალიზმის დიადი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენეს ახალი საზოგადოება, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ არის პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრა. ამ საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში დამყარდა ახალი ურთიერთობა ადამიანებს შორის, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის ძმური, მეგობრული თანამშრომლობის ურთიერთობა. **(ტაში).**

ჩვენ, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს ერთი მიზანი, ერთი ამოცანები გვაქვს — უზრუნველყოთ ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო დიდი აყვავება და ძლიერება, მივაღწიოთ ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის სწრაფ აღმავლობას, დაუცხრომლად ვიშრომოთ იმისათვის, რომ ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა სულ უფრო კარგად და კარგად იცხოვრონ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში აფასებენ და პატივს სცემენ კეთილსინდისიერ შრომას, რომელიც ხმარდება ამ დიადი და კეთილშობილური მიზნის მიღწევას. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი, ვაჭრობის მუშაკები — ყველა მშრომელნი, რომელნიც ქმნიან და ამრავლებენ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეს; მეცნიერების მოღვაწენი, რომლებიც ქმნიან ტექნიკური პროგრესის, ბუნების ძალების დაუფლების, ადამიანის შრომის შემსუბუქების ახალ შესაძლებლობებს; განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ახმარენ თავიანთ შრომას; მედიცინის ფრონტის თავდადებული მშრომელები, რომლებიც იცავენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობას; გმირი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამარჯვებათა დიდებით მოსილი მეომრები — ყველა საბჭოთა ადამიანი — ახალი ცხოვრების შემქმნელნი და მშენებელნი არიან. ჩვენი სამშრომლო მათს თავდადებულ შრომას უნდა უმაღლოდეს თავის სიდიადესა და დიდებას. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა ადამიანი მტკიცე რწმენით, მხნედ და გაბედულად შეჰყურებს თავის ხვალინდელ დღეს. მან იცის, რომ კომუნისტური პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს საბჭოთა ადამიანის ბედნიერებას, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს მშვიდობიან განვითარებასა და აყვავებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიდ გმირ ხალხს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

აყვავდეს ჩვენი სამშობლო ყველა საბჭოთა ადამიანის საბედნიეროდ და სასიხარულოდ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროშით წინ ახალი გამარჯვებებისაკენ! **(მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ ცხრება. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1954 წლის 11 მარტს

ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ თქვენ და მოლოტოვის ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს, გულითადი მადლობა გიძღვნათ ამ დიდი პატივისა და ნდობისათვის, რომელიც მე გამომიცხადეთ. **(ტაში).**

ჩემს უპირველეს მოვალეობად, კომუნისტის მოვალეობად მივიჩნევ გავამართლო თქვენი ნდობა, ამხანაგო ამომრჩევლებო! **(ტაში).**

ჩვენი პარტიის წარმატებათა საფუძველია ის ურყევი ნდობა, რომლითაც პარტია მშრომელებში სარგებლობს. ამ ნდობას უნდა გაუფრთხილდეს ყოველი ჩვენთაგანი. თვითეული კომუნისტის წმიდა მოვალეობაა იმისათვის ზრუნვა, რომ კვლავაც განამტკიცოს ეს ნდობა, პატიოსნად ემსახუროს თავის ხალხს, დარაზმოს მშრომელნი ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ჩვენგანი იცნობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომართვას ამომრჩევლებისადმი, რომელშიც შეჯამებულია საბჭოთა ხალხის უკანასკნელი წლების მუშაობის შედეგები და დასახულია შემდგომი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ამ შედეგებს მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მრეწველობის ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ 1953 წელს საბჭოთა ადამიანებმა სამრეწველო წარმოების ისეთ მოცულობას მიაღწიეს, რომელიც ორნახევარჯერ აღემატება ომამდელი 1940 წლის დონეს.

ყველა ჩვენგანს ახსოვს ლენინის მითითება, რომ სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საფუძველი, მძიმე მრეწველობაა.

საბჭოთა ხალხმა დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ამ გზაზე. ამას მოწმობს უბრალო ციფრები.

1953 წელს გამოშვებულია 38 მილიონი ტონა ფოლადი და ამოღებულია 320 მილიონი ტონა ქვანახშირი — ერთიცა და მეორეც მიღებულია ერთიორად მეტი, ვიდრე 1940 წელს. 1953 წელს გამომუშავებულია თითქმის ერთისამად მეტი ელექტროენერგია და გამოშვებულია თითქმის ოთხჯერ მეტი მანქანები და მოწყობილობა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ეს ფაქტები მოწმობენ, თუ რა მძლავრი აღმავლობის გზაზეა ჩვენი მძიმე მრეწველობა. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მშენებლობის მზარდი გაქანების შედეგად, ჩვენი ტრანსპორტის განვითარების, მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ბაზის განუხრელი ამაღლების მეოხებით და, რასაკვირველია, ჩვენი კადრების უმაგალითო ზრდის მეოხებით.

ამასთანავე მძიმე მრეწველობის განვითარების საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გაგვეჩაღებინა მუშაობა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

პარტიამ და მთავრობამ მთელი რიგი დადგენილებებით დასახეს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის აღმავლობის ყოველნაირად დაჩქარების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველნაირად გადიდების ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა შედეგებმა უკვე იჩინა თავი გასული წლის მეორე ნახევარში, როცა მნიშვნელოვნად გადიდდა საქონლის რაოდენობა ჩვენს სავაჭრო ქსელში. გაჩაღდა აგრეთვე ბრძოლა საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისათვის, აღგილებზე მისი უკეთ მიწოდებისათვის, მომხმარებლის ინტერესების კარგად უზრუნველყოფისათვის. მარტო 1953 წელს ამუშავდა სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი სამასამდე ახალი საწარმო. მსუბუქი და კვების მრეწველობის მოქმედ საწარმოებში მიმდინარეობს მოწყობილობის მნიშვნელოვანი განახლება.

ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობა ბევრად არის დამოკიდებული ამ მრეწველობაში არსებულ შესაძლებლობათა, საწარმო რეზერვთა უკვე გამოყენებაზე.

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ჩვენი საწარმოები ბევრ შემთხვევაში არ ძუშაობენ რიტმულად, მაშასადამე, არც საკმაოდ ორგანიზებულად. მეტალურგიაშიც, ქვანახშირის ამოღებაშიც, ქიმიურ მრეწველობაშიც, კვებისა საწარმოებშიც, ისევე როგორც მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, განსაკუთრებით ხშირად კი მანქანათმშენებლობის საწარმოებში მუშაობა თვის პირველ დეკადაში, როგორც წესი, გაცილებით უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე თვის დამლევს. განა შეიძლება შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას? განა შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ წარმოების დონე, რომელსაც საწარმომ თვის უკანასკნელ დეკადაში მიაღწია, ყოველთვის კლებულობს შემდეგი თვის დასაწყისში? ამავე დროს, თუ ჩვენი სამეურნეო მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები, ყველა ჩვენი პარტიული და სხვა ორგანიზაცია გააჩაღებენ ბრძოლას მტკიცე თანაზომიერი (რიტმული) მუშაობისათვის საწარმოებში და არ დაუშვებენ წარმოების დონის შემცირებას თვის დასაწყისში, — ისინი ბევრად გაუმჯობესებენ საწარმოთა მუშაობას და უზრუნველყოფენ სამრეწველო პროდუქციის შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას. მოსკოველებს შეეძლოთ აქაც მოეცათ იმის კარგი მაგალითი, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ამჟამად სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებს. დიდად გააძლიერეს მთელი ეს საქმე პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში დამთავრებულმა პლენუმმა.

პარტიამ მთელი ძალით წამოსწია წინ მეცხოველეობისა და მებოსტნეობის აღმავლობის ამოცანები, აგრეთვე ტექნიკური კულტურების შემდგომი აღმავლობის ამოცანები. ამასთან ერთად, პარტია და მთავრობა გვეუბნებიან, რომ მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველი უნდა იყოს მარცვლეული მეურნეობის შემდგომი მნიშვნელოვანი აღმავლობა, მარცვლის წარმოების ყოველმხრივ გადიდება.

ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებანი. არ შეიძლება თვალი ავარიდოთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩამორჩება ჩვენი მრეწველობის ზრდას და მოსახლეობის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს. აი რატომ იყო, რომ ჩვენმა პარტიამ დაგობრუნა თანამშრომლობის ურთიერთობა. **(ტაში).**

ჩვენ, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს ერთი მიზანი, ერთი ამოცანები გვაქვს — უზრუნველყოთ ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო დიდი აყვავება და ძლიერება, მივაღწიოთ ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის სწრაფ აღმავლობას, დაუცხრომლად ვიშრომოთ იმისათვის, რომ ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა სულ უფრო კარგად და კარგად იცხოვრონ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში აფასებენ და პატივს სცემენ კეთილსინდისიერ შრომას, რომელიც ხმარდება ამ დიადი და კეთილშობილური მიზნის მიღწევას. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი, ვაჭრობის მუშაკები — ყველა მშრომელნი, რომელნიც ქმნიან და ამრავლებენ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეს; მეცნიერების მოღვაწენი, რომლებიც ქმნიან ტექნიკური პროგრესის, ბუნების ძალების დაუფლების, ადამიანის შრომის შემსუბუქების ახალ შესაძლებლობებს; განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ახმარენ თავიანთ შრომას; მედიცინის ფრონტის თავდადებული მშრომელები, რომლებიც იცავენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობას; გმირი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამარჯვებათა დიდებით მოსილი მეომრები — ყველა საბჭოთა ადამიანი — ახალი ცხოვრების შემქმნელნი და მშენებელნი არიან. ჩვენი სამშრომლო მათს თავდადებულ შრომას უნდა უმაღლოდეს თავის სიდიადესა და დიდებას. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა ადამიანი მტკიცე რწმენით, მხნედ და გაბედულად შეჰყურებს თავის ხვალინდელ დღეს. მან იცის, რომ კომუნისტური პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს საბჭოთა ადამიანის ბედნიერებას, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს მშვიდობიან განვითარებასა და აყვავებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიდ გმირ ხალხს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

აყვავდეს ჩვენი სამშობლო ყველა საბჭოთა ადამიანის საბედნიეროდ და სასიხარულოდ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროშით წინ ახალი გამარჯვებებისაკენ! **(მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ ცხრება. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ თქვენ და მოლოტოვის ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს, გულითადი მადლობა გიძღვნათ ამ დიდი პატივისა და ნდობისათვის, რომელიც მე გამომიცხადეთ. **(ტაში).**

ჩემს უპირველეს მოვალეობად, კომუნისტის მოვალეობად მივიჩნევ გავამართლო თქვენი ნდობა, ამხანაგო ამომრჩევლებო! **(ტაში).**

ჩვენი პარტიის წარმატებათა საფუძველია ის ურყევი ნდობა, რომლითაც პარტია მშრომელებში სარგებლობს. ამ ნდობას უნდა გაუფრთხილდეს ყოველი ჩვენთაგანი. თვითეული კომუნისტის წმიდა მოვალეობაა იმისათვის ზრუნვა, რომ კვლავაც განამტკიცოს ეს ნდობა, პატიოსნად ემსახუროს თავის ხალხს, დარაზმოს მშრომელნი ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ჩვენგანი იცნობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომართვას ამომრჩევლებისადმი, რომელშიც შეჯამებულია საბჭოთა ხალხის უკანასკნელი წლების მუშაობის შედეგები და დასახულია შემდგომი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ამ შედეგებს მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მრეწველობის ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ 1953 წელს საბჭოთა ადამიანებმა სამრეწველო წარმოების ისეთ მოცულობას მიაღწიეს, რომელიც ორნახევარჯერ აღემატება ომამდელი 1940 წლის დონეს.

ყველა ჩვენგანს ახსოვს ლენინის მითითება, რომ სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საფუძველი, მძიმე მრეწველობაა.

საბჭოთა ხალხმა დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ამ გზაზე. ამას მოწმობს უბრალო ციფრები.

1953 წელს გამოშვებულია 38 მილიონი ტონა ფოლადი და ამოღებულია 320 მილიონი ტონა ქვანახშირი — ერთიცა და მეორეც მიღებულია ერთიორად მეტი, ვიდრე 1940 წელს. 1953 წელს გამომუშავებულია თითქმის ერთისამად მეტი ელექტროენერგია და გამოშვებულია თითქმის ოთხჯერ მეტი მანქანები და მოწყობილობა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ეს ფაქტები მოწმობენ, თუ რა მძლავრი აღმავლობის გზაზეა ჩვენი მძიმე მრეწველობა. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მშენებლობის მზარდი გაქანების შედეგად, ჩვენი ტრანსპორტის განვითარების, მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ბაზის განუხრელი ამაღლების მეოხებით და, რასაკვირველია, ჩვენი კადრების უმაგალითო ზრდის მეოხებით.

ამასთანავე მძიმე მრეწველობის განვითარების საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გაგვეჩაღებინა მუშაობა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

პარტიამ და მთავრობამ მთელი რიგი დადგენილებებით დასახეს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის აღმავლობის ყოველნაირად დაჩქარების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველნაირად გადიდების ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა შედეგებმა უკვე იჩინა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სას ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა.

დიდი ლენინი ამბობდა:

„დიქტატურის უმაღლესი პრინციპია პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის დაცვა, რათა პროლეტარიატმა შეძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება“.

ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა ი. ბ. სტალინმა ასე განმარტა ლენინის მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ:

„ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპია. ეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ... პროლეტარიატის დიქტატურა... მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს ეყრდნობა. ამიტომ ყველა ჩვენი ამოცანა შეიძლება ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდეს, თუ ჩვენ ძირს გამოვუთხრით ანდა შევასუსტებთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს“.

არავინ არ უნდა დაივიწყოს, რომ ახლანდელ პირობებშიც ამ ლენინურ პრინციპს არ დაუკარგავს თავისი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეს და უნდა ვიზრუნოთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ლენინური კავშირის განმტკიცებისათვის, რადგან ეს კავშირი საბჭოთა საზოგადოების ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი და, მაშასადამე, მისი ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველია. **(მქუხარე ტაში).**

ამოწმებს რა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, პარტიამ ახალი ძალით მიაქცია ჩვენი ყურადღება სახელმწიფო აპარატის მუშაობის ნაკლოვანებებს. ხშირად ადამიანებთან ცოცხალ კავშირს, საქმის დიდმნიშვნელოვანი დეტალების შესწავლას, პრაქტიკული საკითხების ღრმა და კონკრეტულ ცოდნას ცვლიან კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდებით, მიმოწერითა და ქაღალდის განკარგულებებით. ასეთ მდგომარეობას ვერ შეეურიგდებით. პარტია ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს, რომ ნაკლოვანებათა კრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა — პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანებისაგან, არ იხშობოდეს, რომ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები გულისხმიერად ეკიდებოდნენ ამ კრიტიკას და აკეთებდნენ დროულ, ჯეროვან დასკვნებს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო აღმავლობის საფუძველზე უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, განუხრელად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი, იზრდება ელეხობის შემოსავალი. ომის დამთავრების შემდეგ უკვე ექვსჯერ შემცირდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასები. ახლა ყველა ხედავს, რომ საქონლის ფასების შემცირების პოლიტიკა არ არის რაღაც დროებითი, გარდამავალი ღონისძიება, რომ ეს საბჭოთა ხელისუფლების მთელი სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. **(ტაში).**

ჩვენ უკვე გვაქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საქონელბრუნვა. მარტო შარშან მოსახლეობას მიეყიდა 21 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე წინა წელს. კომუნისტური პარტია და მთავრობა ამოცანად ისახავენ ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაცია და ქალაქისა და სოფლის მომხმარებლის მომსახურება.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი საზრუნავია მშრომელთა ბინების მშენებლობა. ჩვენ უდიდესი ძალღონე და სახსრები დავხარჯეთ მტრის ოკუპაციის პერიოდში დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენისათვის. ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენებულია 183 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. სოფელ ადგილებში ამ პერიოდში აშენებულია 4 მილიონი სახლი კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციისათვის. მიუხედავად ამისა ჩვენ არ გვყოფნის ბინები, და არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ გაკეთებულით. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაფართოოთ საბინაო მშენებლობა, რათა გვქონდეს მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შესაძლებლობა.

სწრაფად იზრდება ჩვენი ხალხის კულტურული მოთხოვნილებანი. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა.

ჩვენი პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხალხის სოციალისტური კულტურის ზრდისათვის. ჩვენს ქვეყანაში 57 მილიონზე მეტი კაცი ჩაბმულია სხვადასხვა სახის სწავლებაში. განა ეს ფაქტი თავისთავად არ მეტყველებს? გასულ წელს მარტო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვმა 220 ათასს მიაღწია. წელს ეს რიცხვი კიდევ უფრო გადიდდება.

არ შეიძლება არ გვახარებდეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურული ძალების სწრაფი ზრდა და სოციალისტური კულტურის განუხრელი აღმავლობა.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმატებებით. ჩვენი მეცნიერები სულ უფრო მეტ მოწინავე პოზიციებს იკავებენ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. ჩვენმა მეცნიერებმა და ტექნიკის მოღვაწეებმა ატომის ენერგიის მიღების დარგში წარმატებათა მაგალითით ცხადყვეს, თუ რამდენად დამოკიდებულია მათს მეცადინეობასა და პრაქტიკულ წარმატებებზე საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების გადიდება და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდა. **(ტაში).**

ჩვენი ქვეყნის ისტორიის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა ბედისათვის სოციალიზმის გამარჯვებას.

ძველ დროს, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დროს, სახელმწიფო ვერ იარსებებდა, რომ არ გაეღვივებინა მტრობა ხალხებს შორის, არ დაემყარებინა კოლონიურ-მჩაგვრელური რეჟიმი მთელი ხალხებისათვის, არ გაეღვივებინა სომეხ-თათართა მტრობა, ვერ იარსებებდა უანტისემიტიზმოდ და სხვ. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო ამ სამარცხვინო მდგომარეობას, გაუწმინდა გზა ხალხებისა და მათი ეროვნული კულტურის თავისუფალ განვითარებას. სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა.

ავიღოთ თუნდაც რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობა, როგორც ცხობილია, ძველ დროს არავის არ აღუძრავს იმის საკითხი, რომ ფართოდ, ხალხის მასების მონაწილეობით აღენიშნათ რუსეთთან უკრაინის შეერთების 100 წლისთავის, 200 წლისთავის ან სხვა თარიღი. მაშინ, უკრაინის იძულებითი რუსიფიკაციის პირობებში, ასეთი საკითხი არ აღძრულა. ახლა საბჭოთა ქვეყნის ხალხების თავისუფალი განვითარების პირობებში სხვა მდგომარეობა შეიქმნა. სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში მიმდინარე წელს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს აღვნიშნავთ არა მარტო როგორც უკრაინელი და რუსი ხალხების ეროვნულ დღესასწაულს, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდ დღესასწაულსაც. **(ტაში).**

რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, აქ ამ უკანასკნელ ხანს შესამჩნევი ცვლილებანი მოხდა.

ვერ უგულებელვყოფთ, რა თქმა უნდა, იმ გარემოებას, რომ აგრესიული ძალები კვლავ იმავე მიმართულებით მოქმედებენ, როგორც წინათ. გრძელდება გამაღლებული შეიარაღება. აგრესიული ბანაკის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები კვლავ არაჩვეულებრივად გაბერილია. აგრეთვე ატომურ იარაღს. მთელი რიგი ევროპული და არაევროპული სახელმწიფოების ტერიტორიებზე შენდება ამერიკის სამხედრო ბაზები საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

საერთაშორისო ვაჭრობის დარგში რჩება მეტი წილი წინანდელი შეზღუდვები და უაზრო დისკრიმინაცია, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირის, სახალხო ჩინეთისა და სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებში ეკონომიური კრიზისის ბაზარ ნიშნებთან და უმუშევრობის გადიდებასთან დაკავშირებით იმპერიალისტურ ბანაკს სულ უფრო მეტი ბაზარი უჩნდება და იგი მარცხს განიცდის ამ აგრესიული კურსის განხორციელებისას, რომელიც არ შეესაბამება ბევრი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს.

თუ შევადარებთ ახლანდელ ვითარებას იმ მდგომარეობას, რომელიც იყო, ვთქვათ, ერთი წლის წინათ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ გარკვეული წარმატებანი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების მხრივ.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ დამთავრდა ომი კორეაში. კორეაში დროებითი ზავის დადება მოსწყვეტდა იმ აგრესიული წრეების პოლიტიკის ჩაშლას, რომლებმაც გააჩაღეს ომი კორეაში. სამი წლის ომმა და განსაკუთრებულმა მსხვერპლმა ქედი ვერ მოახრევინა გმირ კორეელ ხალხს და ჩინელ სახალხო მოხალისეებს, რომელთა სახელოვანი გმირობა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში შევა. **(ხანგრძლივი ტაში).** კორეაში დაზავების ხელმოწერა მთელი მშვიდობისმოყვარე ბანაკის გამარჯვებაა.

გვერდს ვერ ავუვლით აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ბერლინის ამასწინანდელი თათბირით ბოლოს და ბოლოს დასრულდა ის ხანგრძლივი შეწყვეტა დიდ სახელმწიფოთა თათბირებში, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მეორე მხრივ, თვით ბერლინის თათბირმა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როცა საჭიროდ ცნო მოწვეულ იქნას ჟენევის თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომლებმაც სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად უნდა განიხილონ როგორც კორეის საკითხი, რომელიც დაუთმავრებელი დარჩა, ისე ინდოჩინეთის მშვიდობის აღდგენის საკითხიც, ინდოჩინეთისა, რომლის ხალხი ხანგრძლივ ბრძოლას ეწევა თავისი თავისუფლებისა და ეროვნული უფლებებისათვის.

საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის კანონიერ ადგილს დაიკავებს თათბირზე სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად. **(ხანგრძლივი ტაში).** ამრიგად, საერთაშორისო მოვლენების განვითარება სულ უფრო საჭიროს და გადაუდებელს ხდის იმას, რომ აღდგენილ იქნას ჩინელი ხალხის უფლებები მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში, აგრეთვე აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

[illegible] ... ეკონომიკა-ტექნიკამ [illegible] ... ეს ... ამ შედეგებს, რომლებიც უკვე მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. სსრ კავშირის ამ პოლიტიკის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. **(ხანგრძლივი ტაში).** ამასთანავე საბჭოთა კავშირი ხელს უწყობს თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის განვითარებას ყველა ქვეყანასთან, რომელიც ამას ესწრაფვის ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ამას წინათ დამთავრებულ ბერლინის თათბირზე ყველაზე დიდი ყურადღება მიექცა გერმანიის პრობლემას.

ამასთან გამოირკვა, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები ამჟამად არ აყენებენ ამოცანას, რომ აღდგეს გერმანიის ერთიანობა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. ამის გამო ისინი არც იმით არიან დაინტერესებული, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. დასავლეთის სამი სახელმწიფოს გეგმები ევროპაში ახლა დაკავშირებულია იმის ცდასთან, რომ შეიქმნას დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს ეგრეთწოდებული „ევროპის არმია“, რომელშიც მთავარ როლს ფაქტიურად შეასრულებენ დასავლეთ გერმანიის აღდგენილი შეიარაღებული ძალები. ამით ეს გეგმები მიმართულია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისაკენ და მათ მოჰყვება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირს არ შეეძლო დათანხმებოდა ასეთ გეზს გერმანიის საკითხის გადაჭრაში

შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის დასასრული

ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ რეაქციული ძალები ყველას თვალწინ ახორციელებენ ახალი ომის მომზადების პოლიტიკას. ამიტომ პარტიასა და მთავრობას, რომლებიც ცდილობენ შეანელონ დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში, არ შეუძლიათ არ იზრუნონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ყოველმხრივი ზრდისათვის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი და განუხრელი განმტკიცებისა და სრულყოფისათვის, რომლებიც იცავენ საბჭოთა ხალხის შრომას და ჩვენი სამშობლოს უშიშროებას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ახლა საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობის სადარაჯოზე დგას დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი. საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის დიადი კავშირი და ძმური მეგობრობა განამტკიცებს მშვიდობის ძალებს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. **(ტაში).**

სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, ალბანეთთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი სარგებლობს სხვა ქვეყნებში მშვიდობის მრავალი მოლიონი აქტიური მომხრის მძლავრი მხარდაჭერით, ემყარება ხალხთა მზარდ მხარდაჭერას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გენერალური შემოწმებაა, ეს არჩევნები, ამასთან ერთად, ემსახურება საბჭოთა ხალხის შემდგომ დარაზმვას პარტიისა და მთავრობის გარშემო.

იზრდება და მტკიცდება კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკი, რომელშიც თავის გამოხატულებას პოულობს ჩვენი პარტიის მზარდი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან და ჩვენი ხალხის დარაზმვა პარტიის გარშემო! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

იზრდება და მტკიცდება კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და გმირი საბჭოთა ხალხის დიადი ერთიანობა! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას— საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ერევნის—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1954 წლის 11 მარტს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, ამხანაგო ამომრჩეველებო!

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ როგორც კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წევრს, და ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ როგორც წინათ, ისე კვლავ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა გავამართლო ნდობა, რომელიც გამიწიეს ამომრჩევლებმა და ჩვენმა პარტიამ. მთელ ჩემს ძალებს მოვახმარ კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამის განხორციელების საქმეს. **(ტაში).**

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, რომელიც შეეფერება საბჭოთა ხალხისა და ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენი ხალხი, რომელიც კომუნიზმს აშენებს, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებით ყველა ქვეყანასთან.

მოლაპარაკების მეთოდი შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მისაღწევად ერთადერთი მისაღები მეთოდია საერთაშორისო ურთიერთობაში.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ უგულებელყონ დიდი ჩინეთი და დაარღვიონ მისი კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ზოგ ვინმეს მოვაგონოთ ისტორიის ზოგიერთი გაკვეთილი.

რევოლუციისადმი სიძულვილით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საბჭოთა კავშირს არა ცნობდა თხუთმეტი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველებს ეგონათ, რომ, თუ ისინი თვალს დახუჭავდნენ და მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა კავშირი არ არსებობს, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება დაიმუსრებოდა. თხუთმეტ წელიწადს ელოდნენ, შემდეგ დაინახეს, რომ საბჭოთა კავშირი გიგანტურ ძალად გაიზარდა ისე, რომ იგი ამერიკის კაპიტალისტებს არ უცვნიათ.

ახლა სრულასაკოვანთათვის ამ სულელურ სანავშო თამაშობას — „კეკემალულობას“ ამერიკის შეერთებული შტატები თითქმის ხუთი წელიწადია ეწევიან ისეთი დიდი სახელმწიფოს მიმართ, როგორიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაა. ცხადია, რომ „კეკემალულობის“ ეს მოთამაშენი, — მსოფლიო ხელმძღვანელობის პრეტენდენტები, — კვლავ გატეხილი გობის წინაშე აღმოჩნდებიან.

მთელ მსოფლიოში იზრდება რწმენა, რომ მტკიცდება მშვიდობის საქმე, რომ აგრე ადვილი როდია ჩვენს დროში ომისაკენ გზის გაკაფვა. ატომური იარაღის დარგში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიის ლიკვიდაცია გამომაფხიზლებლად მოქმედებს ახალი ომის გამჩაღებლებზე და მშვიდობის საქმეს უწყობს ხელს. მაგრამ ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება ომის საფრთხის წინაშე, რადგან ომის გამჩაღებლები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას და ახალი აგრესიების მზადებას.

გამალებული შეიარაღების ნაცვლად რატომ არ უნდა დავიწყოთ შეჯიბრება ორ სისტემას — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს — შორის სამშვიდობო წარმოების განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხაზით. ასეთი შეჯიბრებისათვის ჩვენ მზადა ვართ. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა ცალკეულ პროდუქტებს მეტს ამზადებს მოსახლეობის ერთ სულზე განგარიშებით და ზოგჯერ ხარისხითაც უკეთესს, ვიდრე ჩვენ. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს ქვეყნები ადრე დაადგნენ სამრეწველო განვითარების გზას, ომებისაგან ისეთი ღიდიესი ზარალი არ მოსულიათ, როგორც ჩვენ. საბჭოთა კავშირმა უკვე დაამტკიცა თავისი ეკონომიური სისტემის უპირატესობანი როგორც განვითარების ტემპის, ისე ტექნიკური განვითარების დონის მხრივ.

ახლა მიღწეულის ბაზაზე ჩვენ შევუდექით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ისეთი გაჩაღების ამოცანის გადაჭრას, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის ახალ, გადამწყვეტ აღმავლობას. ამ გზით ჩვენ შემდეგშიც დევგმირული ნაბიჯით ვიცლით წინ სიუხვისაკენ. **(ტაში).**

კაპიტალიზმის ბანაკის მდგომარეობას ახასიათებს მერყეობისა და წინააღმდეგობათა გამწვავების ზრდა. ამას საფუძვლად უდევს ბურჟუაზიული სამყაროს ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1953 წლის მეორე ნახევარში დაიწყო წარმოების დაქვეითება, რომელიც, როგორც ჩანს, მოწმობს, რომ დაიწყო ჭარბწარმოების მორიგი კრიზისი. 1953 წლის აგვისტოდან სამრეწველო წარმოების დონე დაქვეითდა უკვე 10 პროცენტით, საქონლის მარაგმა არანორმალურად დიდ ოდენობას მიაღწია, კლებულობს დასაქმება და მატულობს უმუშევრობა.

კაპიტალიზმის ზოგიერთი უხეირო დამცველი ჩმახავს, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, თითქოს გვახარებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში ხდება ეკონომიური დაქვეითება. კრიზისები იმის გამო კი არ ხდება, რომ ეს ვინმეს ახარებს ან აწუხებს, კრიზისები არც მმართველთა ნებაზეა დამოკიდებული. კაპიტალიზმის პერიოდული ეკონომიური კრიზისები ობიექტური ეკონომიური კანონების პროდუქტია. როგორ შეიძლება საბჭოთა ადამიანებს ახარებდეს კრიზისი კაპიტალიზმის ქვეყნებში, თუ ამ კრიზისს თან მოაქვს ახალი გაჭირვება და ტანჯვა მრავალი მილიონი მშრომელისათვის, ჩვენი კლასობრივი ძმებისათვის?

ეკონომიური აღმავლობისა და ხალხის მასების კეთილდღეობის გაუმჯობესების გზით განუხრელად მიდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

განვითარების რა უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის ძალაუფლების გადასვლა ხალხის ხელში, ამას გვიჩვენებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებათა შედარება სხვა ქვეყნების მდგომარეობასთან.

განსაცვიფრებელია ბულგარეთისა და საბერძნეთის განვითარების შედარების სურათი. ეს ქვეყნები მეზობლები არიან, დაახლოებით თანაბარი ტერიტორია აქვთ და თანაბარი მოსახლეობა ჰყავთ. ბულგარეთში სამრეწველო წარმოება 1953 წელს 1939 წელთან შედარებით 350 პროცენტით გადიდდა, მაშინ როცა საბერძნეთში ეგი მხოლოდ 30 პროცენტით გადიდდა. ერთ სულ მოსახლეობაზე ელექტროენერგიის გამომუშავება ბულგარეთში ომამდე ნაკლები იყო, ვიდრე საბერძნეთში, ახლა კი ერთიორად მეტია, ვიდრე საბერძნეთში. ბულგარეთში ვითარდება მანქანათმშენებლობის ბევრი დარგი და ბევრად დიდდება პროდუქციის გამოშვება, მაშინ როცა საბერძნეთში ომამდეც ნაკლებად განვითარებულმა მანქანათმშენებლობამ ახლა ომამდელთან შედარებით სანახევროდ შეამცირა თავისი წარმოება.

ბულგარეთში საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია 220 პროცენტით გადიდდა ომამდელთან შედარებით, საბერძნეთში კი — მხოლოდ 30 პროცენტით. ბულგარეთის სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს თავისი ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე, საბერძნეთი კი იძულებულია შეიტანოს საჭირო მარცვლეულის სულ ცოტა 30 პროცენტი.

როგორც ცნობილია, საბერძნეთსა და ბულგარეთს მნიშვნელოვანი რაოდენობით მოჰყავთ და გააქვთ თამბაქო. მეორე მსოფლიო ომამდე ბულგარეთს ერთიორად ნაკლები თამბაქო მოჰყავდა, ვიდრე საბერძნეთს, ახლა კი დაეწია მას.

მაშინ როცა ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში ყველა უზრუნველყოფილია სამუშაოთი და ხალხის ცხოვრების დონე მაღლდება, საბერძნეთში უმუშევარია მუშათა კლასის დაახლოებით მესამედი, ხოლო სოფლად — სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტი, და მშრომელთა ცხოვრების დონე დაქვეითდა.

ორი ქვეყნის განვითარების დაპირისპირებულობა მკაფიოდ ჩანს კულტურული მშენებლობის დარგშიც. ომამდე წერა-კითხვის უცოდინარი ბულგარეთში, ისევე როგორც საბერძნეთში, 40 პროცენტი იყო. ახლა წერა-კითხვის უცოდინარობა ბულგარეთში ძირითადად ლიკვიდირებულია, ხოლო საბერძნეთში მდგომარეობა არ შეცვლილა.

ბულგარეთი ომამდე საბერძნეთს ჩამორჩებოდა სამედიცინო მომსახურების დარგში. იმ დროს 10 ათას მცხოვრებზე ბულგარეთში მოდიოდა 12 საავადმყოფო საწოლი, მაშინ როცა საბერძნეთში — 23 იყო. სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთი ამ დარგშიც შორს წავიდა წინ და ახლა 10 ათას მცხოვრებზე უკვე 43 საავადმყოფო საწოლია, მაშინ როცა საბერძნეთში მდგომარეობა წინანდელია.

ეს ფაქტები უდავოდ ცხადყოფენ საზოგადოებრივი განვითარების იმ გზის უპირატესობას, რაც აირჩიეს ხალხებმა, რომლებმაც თავიანთი ბედი საკუთარ ხელში აიღეს.

გასული წელი აღინიშნა არა მარტო საქონელბრუნვის შემდგომი გაფართოებით მეგობრულ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან, არამედ იმითაც, რომ დაისახა შემობრუნება კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის სერიოზული გამოცოცხლებისაკენ.

ამ მხრივ ყურადღების ღირსია ჩერჩილის განცხადება თემთა პალატაში ამა წლის 25 თებერვალს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის შესახებ. პრემიერ-მინისტრმა, კერძოდ, თქვა: „საქონლისა და მომსახურების გაცვლას სულ უფრო მეტი მასშტაბით შეუძლია მხოლოდ სარგებლობის მოტანა“ და შემდეგ: „რაც უფრო მჭიდრო იქნება ურთიერთობა ორი დიდი ბანაკისა, რომლებადაც გაყოფილია მსოფლიო, საღი, ნაყოფიერი კომერციული საქმიანობის მეოხებით, მით უფრო ძლიერი იქნებიან ბირწმინდა სამხედრო გარაუდების მოწინააღმდეგე ძალები“.

კაპიტალისტურ წრეებში სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის შეზღუდვის წინააღმდეგ. არა მარტო ინგლისში ეთხრება ძირი ამ კაშხალს, არამედ თვით ამერიკაშიც საქმე ისე წაუვიდათ, რომ ხელმძღვანელ წრეებში დავობენ, თუ რამდენად ეონივრულია მომავალშიც არ ივაჭრონ საბჭოთა კავშირთან, და იწყებენ სხვადასხვა გზით სსრ კავშირთან ვაჭრობის შესაძლებლობის მოსინჯვას.

ამხანაგებო, ჩვენი მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის ზრდის გიგანტურმა წარმატებებმა შექმნა საჭირო წანამძღვარები, რათა დასმულიყო საკითხი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობისა და ამ საქონლით მოსახლეობის მთლიანად უზრუნველყოფის შესახებ.

ჩვენში ახლა მოსახლეობა ქალაქებში შეადგენს 80 მილიონს ნაცვლად 1926 წლის 26 მილიონისა. მუშების რეალური ხელფასის გადიდებამ, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ, ფასების სისტემატურმა შემცირებამ — ყოველივე ამან განაპირობა მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სწრაფი ზრდა სახალხო მოხმარების საქონელზე, ვიდრე ზოგიერთი საქონლის, როგორიც არის, მაგალითად, ხორცისა და ერბო-კარაქის წარმოების ტემპი. ზოგიერთს კიდევაც ჰგონია, რომ ნაკლები ხომ არ გამხდარა ახლა საქონელი, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო. ნამდვილად კი ხდება საქონლო ფონდების სწრაფი ზრდა. მაგალითად, სამაზრო ფონდები 1953 წელს 1950 წლის მიმართ გადიდდა: ხორცპროდუქტებისა — 73,4 პროცენტით, თევზპროდუქტებისა — 22,9 პროცენტით, ერბო-კარაქისა — 57 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 76,1 პროცენტით, შაქრისა — 93,6 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 55,1 პროცენტით, ტრიკოტაჟისა — 91,5 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 34,6 პროცენტით, შალის ქსოვილებისა — 24,9 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 168,9 პროცენტით, საკერავი მანქანებისა — 94,8 პროცენტით, ველოსიპედებისა — 178,3 პროცენტით, ხელის საათებისა — 196 პროცენტით, რადიომიმღებებისა და ტელევიზორებისა — 71,9 პროცენტით.

მიმდინარე წელს ხორცის გაყიდვა 1950 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გადიდდება. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ადგილებში ხორცი არ ჰყოფნით. ანალოგიური მდგომარეობაა ერბო-კარაქის მხრივ.

არის უბრალო საშუალება ისე მოვიქცეთ, რომ ყველას ეგონოს, საქონელი გვყოფნისო, — შემდგომ აღარ შევამციროთ ფასები, ესე იგი შევაკოთ მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდა, როგორც ამას სჩადიან კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაშინ ყველას ეგონება, საქონელი გვყოფნისო, შეიძლება გარდამეტიც კი შეიქმნას. მაგრამ ეს პრინციპულად ეწინააღმდეგება საბჭოთა პოლიტიკას და მოსახლეობის ძირეულ ინტერესებს და ჩვენ შემდეგშიც განვაგრძობთ ფასების შემცირების პოლიტიკას. იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ საქონლის ნაკლებობას, ჩვენთვის არსებობს ერთადერთი სწორი გზა — დავაჩქაროთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ტემპი. ეს გზა აირჩია კომუნისტურმა პარტიამ. **(ტაში).**

საყოველთაო მოხმარების საქონლის დიდი მოთხოვნილება ასახავს მშრომელთა მყიდველობითი უნარისა და კეთილდღეობის ზრდას. ამასთან დაკავშირებით მსურს მოგაგონოთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მარტივი და გასაგები სიტყვები:

„და როდესაც ჩვენ ყოველი მზრიდან ვხედავთ ახალ მოთხოვნებს, ჩვენ ვამბობთ: ეს ასე უნდა იყოს, სწორედ ეს არის სოციალიზმი, როდესაც თვითეულს სურს გაიუმჯობესოს მდგომარეობა, როდესაც ყველას უნდა ისარგებლოს ცხოვრების სიკეთით“.

ამჟამად დასახული ამოცანის — სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის ამოცანის გადაჭრაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა. იგი იძლევა სურსათს მოსახლეობისათვის და ნედლეულს მოხმარების საგნების მწარმოებელი მსუბუქი მრეწველობისათვის.

ყველა თქვენგანისათვის ცნობილია, საკოლმეურნეო წყობილების ჭეშმარიტი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში და ცნობები სოფლის მეურნეობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის შესახებ. მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდების ტემპი ნაკლებად სწრაფია, ვიდრე მრეწველობის ზრდის ტემპი. სოფლის მეურნეობა სერიოზულად ჩამორჩება მოთხოვნილების ზრდას.

უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენი პარტია და მთავრობა გულმოდგინედ იდგენენ და ახორციელებენ სოფლის მეურნეობის დაჩქარებული აღმავლობის ღონისძიებათა ფართო პროგრამას, რათა აამაღლონ სოფლის მეურნეობა ჩვენი ეკონომიკის მოთხოვნების დონემდე.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ ყველა საჭირო პირობას და უზრუნველყოფენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების სწრაფი აღმავლობის, მარცვლეულის ნათესების მკვეთრი გადიდების შესაძლებლობას, უმთავრესად ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით, აგრეთვე მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობა მარცვლეული საკვებით. გათვალისწინებულია მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია. ახლა შექმნილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლის მუშაკების — როგორც კოლმეურნის, ისე მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკის მატერიალური დაინტერესება. სერიოზულად გაუმჯობესდა საბჭოთა ხელმძღვანელობაც სოფლის მეურნეობისადმი.

განზრახულია დიდად გაფართოვდეს სამინდის, როგორც საბჭოთა კავშირის შესაბამისი რაიონების ძირითადი ყველაზე მოსავლიანი საკვები კულტურის ნათესები. სიმინდის საკითხთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს ვ. ი. ლენინი თავის წერილში ამხ. კრჟიჟანოვსკისადმი აღნიშნავდა:

„სიმინდის (და ლობიოს) მრავალმხრივი უპირატესობა, როგორც ჩანს, **დამტკიცებულია.** რაკი ეს ასეა, საჭიროა მივიღოთ უფრო სწრაფი და უფრო ენერგიული ღონისძიებანი“.

პარტია და მთავრობა მიაღწევენ იმას, რომ სიმინდს კანონიერი ადგილი მისცენ ჩვენი ქვეყნის თესლბრუნვაში, დაფართოონ მისი გამოყენების რაიონი და გაადიდონ მისი მოსავლიანობა.

სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მალე დიდად განვავითარებთ საბჭოთა სოფლის მეურნეობას და უზრუნველვყოფთ დიდ წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების სიუხვის მიღწევის საქმეში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდისა და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შედეგად მოხდა გარდატეხა საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში, რაც გამოიხატება საქონელბრუნვის ზრდის უფრო მაღალი ტემპით: მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა მთლიანად 1953 წელს 1952 წელთან შედარებით შესადარ ფასებში გადიდდა 21 პროცენტით, სოფლად კი — 24 პროცენტით, ამასთან წლის მეორე ნახევარში მთლიანად — 26 პროცენტით 1952 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სოფლად კი — 30 პროცენტით.

1954 წელს და უახლოეს ორ წელიწადში საყოველთაო მოხმარების საქონლის მწარმოებელმა მრეწველობამ მკვეთრად უნდა გაადიდოს ამ საქონლის წარმოება და განსაკუთრებით გაიუმჯობესოს ხარისხი. ყველა საწარმო მოვალეა სახალხო მოხმარების საქონლის ისეთ ხარისხს მიაღწიოს, რომ იგი არ ჩამორჩებოდეს საუკეთესო საბჭოთა და საზღვარგარეთის ნიმუშებს, ხოლო მოწინავე საწარმოებმა ახალი ნაბიჯი უნდა გადადგან წინ.

საბჭოთა ვაჭრობის ამოცანა ის არის, რომ სერიოზულად გაუმჯობესოს მომხმარებელთა მომსახურება, მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ ორი-სამი წლის შემდეგ თვითეულ ქალაქსა და თვითეულ სასოფლო რაიონში უხვად იყოს მოსახლეობისათვის საჭირო ყველა საქონელი.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, რომ საქონელბრუნვა 1955 წელს 70 პროცენტით გადიდდეს 1950 წელთან შედარებით. მიმდინარე წელს ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ დონეს, რომელიც ხუთწლიანი გეგმით დასახულია 1955 წლისათვის. ამრიგად, ხუთწლიანი გეგმის დავალება საქონელბრუნვის დარგში არა მარტო მოლიანად, არამედ სრულდება უკვე 1954 წელს, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საქონელბრუნვის ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში სრულდება. **(ტაში).**

სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და ამასთან დაკავშირებით შეცდომები მოსდით ცალკეული საქონლის ფაქტიური მოთხოვნილების განსაზღვრაში, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით მის განაწილებასა და შეზიდვაში. ამ შეცდომებმა კონკრეტულად იმით იჩინა თავი, რომ მთელ რიგ რაიონებში შეიქმნა კალოშების ნაკლებობა და ცალკეულ რაიონებში — ასანთისა, თუმცა საქმის მდგომარეობის მიხედვით ერთიცა და მეორე საქონელიც შეგვიძლია ვიქონიოთ იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა. ამასთანავე გასული წლის პირველ ნახევარში ვაჭრობას ჰქონდა დიდი ზენორმატივული მარაგი როგორც კალოშების, ისე ასანთისა. სავაჭრო ორგანიზაციებმა თავიანთ განაცხადებში ვერ ივარაუდეს, ვერ გათვალისწინეს, რომ 1953 წლის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით სოფლად, მკვეთრად გადიდდებოდა მოთხოვნილება კალოშებსა და ასანთზე.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ვაჭრობის საქმის სწრაფ გაუმჯობესებას, არის მეტისმეტი ცენტრალიზაცია საკითხების გადაჭრაში, ზედმეტი მეურვეობა სავაჭრო ორგანიზაციების თვითეული ნაბიჯისადმი, რაც ბოჭავს ინიციატივას, აფერხებს სავაჭრო ორგანიზაციების მანევრულობას და ხელს უშლის მომწიფებული საკითხების სწრაფ, ოპერატიულ გადაჭრას.

ვაჭრობაში არსებული ბიუროკრატიზმისა და უძრაობის ფაქტების აღმოსაფხვრელად, როგორც ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში, როგორც ყოველგვარ სხვა საქმეში, სერიოზული იარაღია ვაჭრობის მუშაკების თვითკრიტიკა, აგრეთვე კრიტიკა ყოველელების მხრივ. ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი სიტყვით ხშირად იბრძვის იმისათვის, რომ საჭიროა კრიტიკა, მაგრამ მათთვის სასურველი იქნებოდა, რომ ეს კრიტიკა არ ეხებოდეს მათ პიროვნებას, ისინი უარს არ იტყვიან გულში ირტყან მჯიღი, რა თქმა უნდა, ისე, რომ არ ეტკინოთ, მაგრამ ისე, რომ ეს კრიტიკა ლმობიერი იყოს, მაგალითად, ისეთი, როგორც პოეტმა ბლაგოვმა თქვა:

„...ჩვენ გვესაჭიროებიან
კეთილი შჩედრინები,
და ისეთი გოგოლები,
ჩვენ რომ ხელი არ გვახლონ“.

(დარბაზში სიცილია).

საჭიროა დღითიდღე ვაწარმოოთ ბრძოლა ვაჭრობის კულტურის აღმავლობისათვის, მომხმარებელთა კარგი მომსახურებისათვის, ზრდილობიანი და ყურადღებითი მოპყრობისათვის მყიდველებისადმი მაღაზიებში, სასადილოებში, კაფეებში, იმისათვის, რომ ყოველი მოქალაქე მაღაზიიდან, სასადილოდან მიდიოდეს კმაყოფილი და არა გაღიზიანებული მომსახურე პერსონალის ყოფაქცევით.

ხალხის ცხოვრების პირობების ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის საჭიროა უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ ყველა სახის მომსახურება, რასაც მოსახლეობას უწევენ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც ამ საქმეს უნდა აკეთებდნენ.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახეობის ტრანსპორტი — რკინიგზის, წყლის, კომუნალური — ზუსტად მუშაობდეს, შეუფერხებლად გადაჰყავდეს მგზავრები, რომ არ იყოს მატარებლების დაგვიანების შემთხვევები, რომ ტრამვაი და ავტობუსი მუშაობდეს ზუსტად გრაფიკის მიხედვით; რომ რკინიგზის ვაგონები, ტრამვაი, ავტობუსი იყოს სუფთა და კეთილმოწყობილი. აკურატობა, ორგანიზებულობა და კულტურა, ზრუნვა მოსახლეობის დროის მომჭირნეობისათვის ამ დარგებში ისევე საჭიროა, როგორც ვაჭრობაში. განა მცირე მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელები ყოველდღე დროზე იღებდნენ ჟურნალ-გაზეთებს, რომ წერილები და დეპეშები დაუგვიანებლად მიჰქონდეთ და ფოსტის არხებში არ იკარგებოდეს?

ყველამ იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აკურატობა, ორგანიზებულობა, ზრდილობიანი და კულტურული მოპყრობა ადამიანებისადმი ჯანმრთელობის ყველა და ყოველგვარი მომსახურება და ადგილობრივი საბჭოთა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა შეავფასოთ იმის მიხედვით, თუ რა წარმატება მოიპოვეს მათ ამ დარგში და ჩაბეს თუ არა ამ ბრძოლაში მუშათა მასები, მოსახლეობის აქტივი. მომსახურების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა საყოველთაო-სახალხო ბრძოლად უნდა გავხაროთ.

ბინების საჭიროება იმდენად დიდია და ისე წინ უსწრებს ჩვენს დღევანდელ შესაძლებლობას, რომ, მიუხედავად იმ საბინაო მშენებლობის სწრაფი ზრდისა, რომელსაც სახელმწიფო ორგანიზაციები ეწევიან, ბინები არა გვყოფნის. ამიტომ საჭიროა აგრეთვე ფართოდ განვავითაროთ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები. საშენი მასალების, დეტალების, აგრეთვე მოქალაქეთა შეკვეთით მათს ხარჯზე სამშენებლო ორგანიზაციების მიერ აგებული სტანდარტული სახლებით ვაჭრობის განვითარება, აგრეთვე კრედიტებით დახმარება და საბინაო მშენებლობის საქმეში მოსახლეობის დაგროვების მოზიდვა შეამსუბუქებდა იმ მწვავე ამოცანის გადაჭრას, რომელიც დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობასთან. ხოლო ბევრ მოქალაქეს ხომ აქვს დაგროვება და შეუძლია დაავროვოს, რათა მომავალში გადაიხადოს როგორც ინდივიდუალური სახლის, ისე კოოპერაციულ სახლში ბინის ღირებულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მუდამ თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის — სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველთა საფუძვლის განმტკიცება. **(ტაში).**

ამ მეგობრობის შემდეგაბებელი ძალაა დიდი რუსი ხალხი, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კაპიტალიზმის წინააღმდეგ საიერიშოდ წაიყვანა მეფის რუსეთის ყველა ხალხი და უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. სწორედ რუსი პროლეტარიატის გამარჯვებამ მიანიჭა ნამდვილი სახელმწიფო დამოუკიდებლობა ყველა ერს, რომლებიც ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში სახლობენ.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის სულისჩამდგმელები და განმხორციელებლები იყვნენ პარტიის გენიალური დამაარსებელი ლენინი და მისი საქმის დიდი განმგრძობი სტალინი.

ჩვენ კვლავაც უნდა ვაწარმოოთ დაუცხრომელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო გამძლე გადმონაშთია.

საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელებს აღაფრთოვანებს საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა. თავისი ხალხისადმი სიყვარულს ისინი ჰარმონიულად ახამებენ ყველა სხვა ხალხისადმი სიყვარულთან, სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებასთან და ყველა მშრომელის ინტერნაციონალურ სოლიდარობასთან. **(ტაში).**

ამხანაგო ამომრჩევლებო! საბჭოთა ხალხის უახლოესი მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებულია ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი. ეს მიმართვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მომავალი მოღვაწეობის პროგრამაა.

რა არის დიდი სამუშაოთა ამ პროგრამის შესრულების გადამწყვეტი პირობა, რა არის კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის გადამწყვეტი პირობა? უმთავრესი პირობაა საბჭოთა ხელისუფლების განუყრელი კავშირი ხალხთან, ხალხის ნდობა და ერთიანობა კომუნისტურ პარტიასთან, თვით კომუნისტური პარტიის რიგების მონოლითური ერთიანობა. **(მქუხარე ტაში).**

წინ მსოფლიოს გარდამქმნელი დიადი თეორიით, მარქს — ენგელს — ლენინ— სტალინის თეორიით გაშუქებული გზით. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს კომუნისტებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე 1954 წლის 11 მარტს

ძვირფასო ამხანაგებო!

სახალხო პოლონეთისათვის ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა მიმდინარეობს, ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, მთელ პოლონელ ხალხს გულითადი ძმური სალამი! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ჩვენი მეგობარი პოლონეთის თავისუფალი ხალხი გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით გმირული შრომით აშენებს ახალ სოციალისტურ ცხოვრებას. ჩვენს პარტიას, საბჭოთა კავშირის ხალხებს გულწრფელად ახარებს თვითეული თქვენი წარმატება ამ სახელოვან გზაზე.

პოლონელი ხალხის წარმატებანი განსაკუთრებით გვახარებს იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ განვვლეთ სოციალისტური მშენებლობის დიდი გზა, საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა, რომელსაც მშრომელები მიჰყავს თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, ხალხის მთელი სასიცოცხლო ძალების აყვავებისაკენ.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისუფალი, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლაში მშრომელი კაცობრიობა ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით.

პოლონელმა ხალხმა მუშათა კლასის მეთაურობით მოკლე ვადაში გადააქცია ეკონომიურად ჩამორჩენილი ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთი მოწინავე სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოდ. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელსაც მართავს თვით ხალხი და ხალხის ინტერესებისათვის, ახლა აქვს დიდად განვითარებული ინდუსტრია, სწრაფად მზარდი სახალხო მეურნეობა, ავითარებს მოწინავე კულტურას.

ახალი დემოკრატიული პოლონეთი უკვე აღარ არის, როგორც წინათ, უცხოეთის კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტი, ნედლეულის წყაროა იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვების, ინტრიგებისა და პროვოკაციების იარაღი. სახალხო პოლონეთი თავისუფალი სახელმწიფოა, გაერთიანებული თავის ბუნებრივ საზღვრებში, რომელმაც დაამკვიდრა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და განუხრელად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, და მძლავრი დემოკრატიული ბანაკის მტკიცე რგოლია.

ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იწვევს იმპერიალისტ მტაცებელთა გაცოფებას, რომლებსაც ძველი პოლონეთი გემრიელ ლუკმად მიაჩნდათ.

დიდი მონაპოვარნი, რომლებსაც პოლონელმა ხალხმა მიაღწია სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, სიამაყით აღავსებს საბჭოთა ადამიანების, სახალხო პოლონეთის ყველა ჭეშმარიტი მეგობრის გულს.

თქვენს ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია მკაფიო სურათი პოლონელი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებებისა, გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის საქმიანობისა ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის მეთაურობით. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

პოლონელი ხალხი წარმატებით წყვეტს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდ და რთულ ამოცანებს. შესარულეს რა ეკონომიური აღდგენის სამწლიანი გეგმა, პოლონეთის მშრომელები პატრიოტული აღმავლობით ახორციელებენ ექვსწლიან გეგმას, რომელსაც თქვენ სამართლიანად უწოდებთ პოლონეთის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზმის საფუძვლების შენებლობის გეგმას.

მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. უკვე 1953 წელს პოლონეთის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 3,6-ჯერ გადააჭარბა 1938 წლის დონეს. მრეწველობაში სოციალისტური სექტორი განუყოფლად გაბატონებული გახდა. ვითარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა.

1953 წელს ნაციონალურმა შემოსავალმა ერთიორად გადააჭარბა 1938 წლის დონეს, ბევრად გაიზარდა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, რაც მოწმობს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას ომამდელ პოლონეთთან შედარებით. ვითარდება ტალანტებით მდიდარი პოლონელი ხალხის მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა.

სახალხო ხელისუფლებას, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ხალხის ინტერესებზე უფრო მაღალი ინტერესები, უფრო მეტი საზრუნავი, ვიდრე ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, მას მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მშობლიური ქვეყნის აყვავებისათვის.

მრეწველობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე სახალხო პოლონეთში შექმნილია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საჭირო პირობები. სოციალისტური ინდუსტრია მზარდი ოდენობით ამარაგებს სოფლის მეურნეობას პირველხარისხოვანი ტექნიკით, სასუქებით, სამრეწველო საქონლით. მუშათა კლასი ყოველდღიურ დახმარებას უწევს მშრომელ გლეხობას. მუშებიც და გლეხებიც სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან თავიანთი სამშობლოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებით. მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების გზით.

ეჭვი არ არის, რომ პოლონელი ხალხი თავისი გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მოიპოვებს მრეწველობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობაში, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძველი და უძლეველი ძალაა. სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება, თქვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის გამოცდილება, დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის შედეგად, რომლებიც საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ. სწორედ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში განადგურებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები, მოპოვებულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, აშენებულია სოციალისტური საზოგადოება. **(ტაში).**

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენი წარმატებებისა და ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარია. ცხოვრება დღითიდღე ადასტურებს ამ ბრძნულ ლენინურ პრინციპს. ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს, განამტკიცებს სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოს.

თქვენი მიღწევები უდავოა, მათ ხედავს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, მათ დიდი კმაყოფილებით მიესალმება ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი.

თქვენი ქვეყნის მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის შედეგები ცხადყოფენ, თუ რა უდიდესი უპირატესობა აქვს სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას კაპიტალიზმის წყობილების წინაშე. სახალხო-დემოკრატიული წყობილება შეიცავს დაუშრეტელ შესაძლებლობებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ზრდისათვის. მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები გვიჩვენებენ იმის შესანიშნავ ნიმუშებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს უპირატესობა და შესაძლებლობანი სახალხო-დემოკრატიული წყობილების განსამტკიცებლად.

სოციალიზმის დიდი ცხოველმყოფელი ძალა ის არის, რომ იგი კი არ თაშავს, არამედ აერთიანებს ხალხებს.

ყველასთვის ცნობილია, რომ მეფის რუსეთსა და ძველ შლიახტურ პოლონეთს შორის დიდხანს არსებობდა ცუდი, ხშირად კი მტრული ურთიერთობა, რისგანაც ერთნაირად იტანჯებოდნენ როგორც პოლონელი, ისე რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და ლიტველი ხალხები. ეს იმის შედეგი იყო, რომ ანტიხალხურ პოლიტიკას ახორციელებდნენ გაბატონებული კლასები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ პოლონეთის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის მშრომელ ხალხებს ყოველთვის ჰქონდათ ბევრი საერთო ინტერესი. მათ შორის არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე წინააღმდეგობა, რაიმე შეღლილი ანტაგონიზმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

1954 წელს საბჭოთა კავშირის ხალხები აღნიშნავენ შესანიშნავი ისტორიული მოვლენის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. უკრაინელი ხალხის ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ მხურვალედ თანაუგრძნობდა პოლონელი გლეხობა, რომელიც პოლონელ ფეოდალთა უღელქვეშ იტანჯებოდა. ბოგდან ხმელნიცკის არმიაში 1648-1654 წლების განმათავისუფლებელი ომის დროს ცოტა ჯარისკაცი როდი იყო უკრაინაში მცხოვრებ პოლონელ გლეხთა რიცხვიდან. უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელმა ომმა ხელსაყრელი პირობები შექმნა პოლონელ გლეხთა შეიარაღებული ბრძოლისათვის მათი მჩაგვრელების — მემამულეების, მაგნატების წინააღმდეგ. პოლონელი გლეხობის განწყობილებას კარგად იცნობდა თვითონ ხმელნიცკიც, როცა ამბობდა, უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მოძალად ბრძოლაში პოლონელი გლეხობა დამეხმარებაო.

წარსულში ბევრია რუსეთის, პოლონეთის, უკრაინის მოწინავე ადამიანთა პირადი მეგობრობის მაგალითები. ეს ადამიანები, ეყრდნობოდნენ რა სახალხო ინტერესების ერთიანობას, ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ ჩვენს ხალხებს შორის.

დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი, იზიარებდა რა თავისი მახლობელი მეგობრის დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის შეხედულებებს, მასთან ერთად ოცნებობდა იმ მომავალ დროებაზე, „როცა ხალხები შუღლს დაივიწყებენ და დიდ ოჯახად გაერთიანდებიან“.

მაგრამ პოლონეთისა და რუსეთის საუკეთესო ადამიანთა ეს ოცნება ხალხთა მეგობრობასა და ძმობაზე დიდხანს ვერ განხორციელდა. მეტად დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა თავად-აზნაურულ-მემამულური და ბურჟუაზიული წყობილება ხალხთა დაახლოებას.

დიდმა უკრაინელმა პოეტმა ტარას შევჩენკომ თავის ლექსში, რომელიც უძღვნა პოლონელ რევოლუციონერ ბრონისლავ ზალესკის, თავისი მეგობარი და ძმა უწოდა მას და გულისწყრომით წერდა, რომ გაუმაძღარი პოლონელი მაგნატები და უკრაინელი მემამულეები შუღლს თესავდნენ პოლონელ და უკრაინელ მოძმე ხალხებს შორის, რომელნიც ცდილობდნენ მშვიდობიანად და მეგობრულად ეცხოვრათ.

პოლონეთის მუშათა კლასი თავისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე რუსეთის მუშათა კლასის მხარდამხარ იბრძოდა საერთო მტრის — რუსეთის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ. ჩვენი გენიალური ბელადი ვლადიმერ ილიასძე ლენინი ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ, იმ პერიოდში, როცა რუსი და პოლონელი მუშები ცარიზმის უღლის წინააღმდეგ, კაპიტალისტთა და მემამულეთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამბობდა: „...ჩვენ ყოველთვის ვეტყვით პოლონელ მუშას: მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატთან უაღრესად სრულ და უაღრესად მჭიდრო კავშირს შეუძლია დააკმაყოფილოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმდინარე, სწორედ ამ პოლიტიკური ბრძოლის მოთხოვნები, მხოლოდ ასეთი კავშირი მოგვცემს სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების გარანტიას“. **(ტაში).** პირველი რევოლუციის დღეებში ლენინი მიესალმა გმირი პოლონეთის გმირ პროლეტარიატს.

რუსეთისა და პოლონეთის მშრომელთა ერთობლივ ბრძოლას ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ მკაფიოდ გამოხატავს ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რუსეთის ძლევამოსილი რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ოქტომბრის გმირი, როგორც მას საბჭოთა ადამიანები უწოდებენ, იყო რევოლუციური მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონელი ხალხის სახელგანთქმული შვილი ფელიქს ძერჟინსკი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე უცილობლად ცნო პოლონეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. საბჭოთა მთავრობის მეთაური ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავდა, რომ პოლონელ გლეხებთან და მუშებთან ჩვენ საჩხუბარი არაფერი გვაქვს, ჩვენ ვცნობდით და ვცნობთ პოლონეთის დამოუკიდებლობას და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, მაგრამ პოლონეთის მაშინდელმა ანტიხალხურმა მთავრობამ უარი თქვა მეგობრული ერთიერთობა დაემყარებინა საბჭოთა რუსეთთან.

ახალი ურთიერთობა — პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კავშირი და მეგობრობა — ჩამოყალიბდა საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ერთობლივი ბრძოლის დროს. ჩვენი ხალხების მეგობრობა სამუდამოდ განამტკიცა ამ ბრძოლაში დაღვრილმა სისხლმა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ათი წლის წინათ, როცა საბჭოთა არმიამ პოლონეთის ჯარების მონაწილეობით გაწმინდა პოლონეთის ტერიტორია გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ პოლონეთში შექმნილიყო ნამდვილი სახალხო ხელისუფლება. ამ წლების მანძილზე დამყარდა და განმტკიცდა პოლონეთის ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, დამყარდა პოლონეთის მეგობრული ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის ურთიერთობას განსაზღვრავს ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა 1945 წელს. აღნიშნა რა ამ ხელშეკრულების დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა იოსებ ბესარიონისძე სტალინმა თქვა: ეს ხელშეკრულება იმას მოასწავებს, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში მოხდა ძირეული გარდატეხა კავშირისა და მეგობრობის სასარგებლოდ. ცხოვრება სავსებით ადასტურებს ამას. **(ხანგრძლივი ტაში).**

მთელი ამ წლების მანძილზე საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის ურთიერთობა ვითარდებოდა და მტკიცდებოდა, ფართოვდებოდა ურთიერთთანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და საერთაშორისო ცხოვრების ყველა დარგში.

ამ ურთიერთობამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის ზრდაზე, რაც ხორციელდება ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. თუ ომამდელ პერიოდში პოლონეთის საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირთან ერთ პროცენტსაც არ აღწევდა, 1952 წელს მან შეადგინა პოლონეთის მთელი სავაჭრო ბრუნვის 32 პროცენტი. პოლონეთის საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირთან 1954 წელს 8-ჯერ და უფრო მეტად დიდდება 1945 წელთან შედარებით.

პოლონეთის რესპუბლიკის კავშირი და მეგობრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და საბჭოთა კავშირთან, რაც განუწყვეტლივ მტკიცდება, უზრუნველყოფდა და კვლავაც უზრუნველყოფს ძმურ მხარდაჭერას სახალხო პოლონეთისათვის მის წინსვლაში სოციალიზმისაკენ. საბჭოთა ხალხი იყო და რჩება პოლონეთის რესპუბლიკის მშრომელთა, ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის მშრომელთა ერთგული მეგობარი და საიმედო მოკავშირე. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი ქვეყნების ხალხებს, რომლებიც მშვიდობიან მშენებლობას ეწევიან, სასიცოცხლოდ აინტერესებთ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკებს და მუდამ მზად უნდა ვიყოთ ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ მშვიდობის მტრებს. ხალხთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილა ის, რომ ომი, რომელმაც კოლოსალური უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხებს, გამოწვეული იყო ჰიტლერული აგრესიით, რომ მშვიდობა ევროპაში დამყარდა გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებისა და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მძლავრი ბანაკის შექმნის შედეგად.

ამჟამად კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალები ყოველნაირად უშლიან ხელს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას. მათ შექმნეს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, აფართოებენ ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელს ევროპისა და აზიის ქვეყნებში, აღვივებენ რევანშისტულ განწყობილებას დასავლეთ გერმანიაში, ესწრაფვიან გერმანიის იმპერიალიზმის აღდგენას და გერმანიის აგრესიული არმიის აღორძინებას.

ამ პირობებში ყველა ხალხი განსაკუთრებით ფხიზლად უნდა იყოს, თავისი ღირსებანი უნდა წარმართოს საძულველი ახალი ომის თავიდან აცილებისათვის. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის მიზანია შენელდეს დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში და განმტკიცდეს მშვიდობის საქმე. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ეს ღონისძიებანი უშედეგოდ არ რჩებიან.

ხალხებს არა სურთ ომი და მათ მოეპოვებათ ძალა, რომელსაც შეუძლია დაიცვას მშვიდობის საქმე. ეს ძალაა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა დღითიდღე მზარდი ბანაკი, ყველა ქვეყნის მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა ბანაკი.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ურღვევი მეგობრობა და მისწრაფებათა ერთიანობა წარმოადგენს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის საიმედო საფუძველს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრ დასაყრდენს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო!

წელს სრულდება პოლონეთის აღორძინების მე-10 წლისთავი. ამ ათი წლის განმავლობაში სახალხო პოლონეთმა გაიარა დიდი და სახელოვანი გზა. საკუთარ ხელში აიღო რა თავისი ბედი და დაამყარა რა მშრომელთა ხელისუფლება, პოლონელმა ხალხმა ამ წლების მანძილზე განახორციელა მშობლიური ქვეყნის უდიდესი გარდაქმნები. თქვენი ყრილობისათვის მზადება, ყრილობის მუშაობა დამაჯერებლად მოწმობს იმას, რომ პოლონეთის მშრომელები პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სახით, რომელმაც თავის რიგებში დარაზმა მთელი ხალხის საუკეთესო, მოწინავე ძალები, ხედავენ ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს. პოლონეთის მშრომელებმა იციან, რომ ისინი მთელ თავიანთ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ მუშათა კლასის გმირულ ბრძოლას, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას.

ხალხთა მასების ნდობა პარტიას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. პოლონელი ხალხის წინაშე დასახული დიდი ამოცანები, როგორც ეს საოცებით სწორად არის ხაზგასმით აღნიშნული თქვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან მოითხოვს, რომ მან მტკიცედ იბრძოლოს თავისი რიგების ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, პარტიული ორგანიზაციების იდეური დონისა და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილებით ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მუშათა კლასის რევოლუციური პარტიას შეუძლია წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანები, თუ იგი თავის მოღვაწეობაში იხელმძღვანელებს მარქსისტულ-ლენინური თეორიით და შემოქმედებითად გამოიყენებს მას თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში, თუ პარტია მუდამ განამტკიცებს თავისი რიგების ფოლადისებურ ერთიანობას, ულმობლად იბრძოლებს ხალხის ყველა და ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ. **(ტაში).**

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ პარტიის ძალა ხალხთან ურღვევ კავშირშია, ხალხის ძალა რევოლუციური პარტიის გარშემო დარაზმულობაშია. **(ტაში).**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა დიდმნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტს. იგი აჯამებს ექვსწლიანი გეგმის პირველი ოთხი წლის სამუშაოთა შესრულების შედეგებს და სახავს ღონისძიებებს, რათა შემდგომ განვითარდეს სახალხო მეურნეობა, ამაღლდეს მშრომელი მასების ცხოვრების დონე, განმტკიცდეს მუშებისა და გლეხების კავშირი, როგორც სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძველი, კიდევ უფრო გადიდდეს პარტიის ბრძოლისუნარიანობა, პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელი ძალაა სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ეჭვი არ არის, რომ ეს ყრილობა თვალსაჩინო ნიშანსვეტი იქნება სახალხო პოლონეთის განვითარებაში სოციალისტური მშენებლობის გზით. სულით და გულით ვუსურვებთ თქვენს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას პოლონელი ხალხის საკეთილდღეოდ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გამოგზავნა რა ჩვენი დელეგაცია, დაავალა მას გადმოსცეს თქვენს ყრილობას შემდეგი მისალმება:

„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უძღვნის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე ყრილობას **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით პოლონეთის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს პოლონეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და კულტურის განვითარების საქმეში. სახალხო პოლონეთი მძლავრი დემოკრატიული ბანაკის მტკიცე რგოლი გახდა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის აქტიური მებრძოლია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას შემდგომ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის, პოლონეთის სოფლის მეურნეობის აღმავლობის, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას — პოლონელი ხალხის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“.

(მთელი დარბაზის მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“ „ნეხ უიე!“, „ნეხ უიე!“, „ნეხ უიე!“.).

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის II ყრილობა

ვარშავა, 10 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ვარშავაში გაიხსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის II ყრილობა.

ყრილობის გახსნამდე დიდი ხნით ადრე ფიზიკური აღზრდის აკადემიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ დელეგატები და სტუმრები. ყრილობაზე ჩამოვიდნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნ. ე. ავხიმოვიჩი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, იგრეთვე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ფინეთისა და ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყნის მოძმე პარტიათა დელეგაციები.

დღის 12 საათზე დარბაზში შემოდიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბოლესლავ ბერუტი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები. დარბაზში შემოდიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით ყრილობა გახსნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ამხ. იუზეფ ცირანკევიჩმა. მან აღნიშნა, რომ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, რომელიც ხუთი წლის წინათ შეიქმნა თავის გამაერთიანებელ ყრილობაზე, მტკიცე რწმენით მიჰყავს პოლონელი ხალხი ისტორიულ გამარჯვებათა გზით. განვლილი პერიოდის მანძილზე პოლონეთში კოლოსალური ცვლილებები მოხდა — წარმატებით ხორციელდება პოლონეთის ინდუსტრიალიზაცია, წარმოებს დიდი გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში.

ამხ. ი. ცირანკევიჩმა დამსწრეებს სთხოვა ფეხზე ადგომით სცენ პატივი გენიალური ლენინის საქმის დიდი განმგრძობის, პოლონელი ხალხის მეგობრის ი. ბ. სტალინის ხსოვნას.

თავის სიტყვაში ამხ. ი. ცირანკევიჩი გულითადად მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, აგრეთვე სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს. ყველანი ფეხზე დგებიან და მართავენ მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა ზმძმე პარტიების პატივსაცემად.

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები ბოლესლავ ბერუტის მეთაურობით. ტაშის გრიალში თავმჯდომარემ პრეზიდიუმში მიიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, აგრეთვე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების ხელმძღვანელები.

არჩეულ იქნა ყრილობის სხვა ორგანოებიც. ერთსულოვნად დამტკიცდა შემდეგი დღის წესრიგი:

1. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი;
2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ს. რუზგა;
3. ექვსწლიანი გეგმის ორი უკანასკნელი წლის (1954-1955) ძირითადი ეკონომიური ამოცანები — მომხსენებელი ხ. მინცი;
4. სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანები 1954-1955 წლებში და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღება — მომხსენებელი ზ. ნოვაკი;
5. ზოგიერთი ორგანიზაციული ამოცანა და ცვლილებანი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წესდებაში — მომხსენებელი ე. ოხაბი;
6. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები.

შემდეგ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა